შინაური საქმეები

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 28.

ოთხშაბათი, ოქტომბერი 13, 1910 წ.

ცალკე ნომერი ღირს 5 კაპიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი 1, ჭეშმარიტი გზა—მღვდ. ი. ლუკიანოვისა. 2, ყ-დ. სამღვდელო ლეონიდეს მოგზაურობა გურიაში—№. 3, ის მაინც ეზიარა!—მღ. დ. ლოსაბერიძისა. 4, ჟურნალ-გაზეთებიდან. 5, მისაბაძავი მაგალითი—ტ. ჯ. 6, კარგი შთაბეჭდილება—კ. წუთისოფლელისა. 7, ვაი ჩვენ სირცხვილს!—ხელისა. 8, მცირე შენიშვნა, საღვთო სჯულის სწავლის შესახებ პირველდაწყებით სკოლებში.

რედაქციისაგან

ვისაც ამ წლის მეორე ნახევრის გაზეთის ფასი არ შემოუტანია, უნდა გამოგზავნოს ერთი მანეთი უამისოთ გაზეთი არ გაეგზავნება. ხოლო ვისაც მეტი აქვს შემოტანილი, მომავალი წლის გაზეთის ფასში ჩაეთვლება.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაური საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—ქაზაკოვის შესახვევში № 17) და თფილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში, სიმონიანცის შუშის მაღაზიაში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. და 50 კ.

გაზეთი ღიმულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

ჭეშმარიტი გზა

გაგრძელება[1])

II.

ეკლესია, როგორც მცველი ქრისტეს ჭეშმარიტებისა.

„სხვაგან არ უნდა ვეძებდეთ ჭეშმარიტებას, რომელიც ადვილად საპოვნელია ეკლესიაში. მასში, როგორც მდიდარ სალაროში, მოციქულებმა შეინახეს ყოველივე ის, რაც ჭეშმარიტებას ეკუთვნის; ასე რომ თვითეულ მსურველს შეუძლია მიიღოს მისგან სასვმელი ცხოვრებისა. იგი არის კარი ცხოვრებისა.“ (წმ. ირინეი).

როგორც ჩვენ სხეულში შეიძლება მკვდარი ასოები, რომელნიც სხეულის

[1]) იხ. შინ. საქ. № 27.

სიცოცხლეში არ იღებენ მონაწილეობას, არ შედიან მის სიხარულის, თუ ტანჯვის, მდგომარეობაში, — ეგრეთვე ეკლესიის სხეულშიაც შეიძლება იყვენ მკვდარი წევრები, ესე იგი, მოკლებულნი სულის წმიდის ზიარებას. ეს არიან ის წევრები, რომელთაც არა აქვსთ სული სიყვარულისა და ერთობისა. როგორც ჩვენ სხეულში მკვდარი ასო არაფერს არ წარმოადგენს, გარდა მხოლოდ ფორმისა, და სხეულის სიცოცხლეში მონაწილეობას არ იღებს, — ეგრეთვე ყოველი ადამიანი, ეკლესიიდგან გამოყოფილი და სულის წმინდის ზიარებას მოკლებული, არის მკვდარი წევრი, თუნდაც ცოცხალი იყვეს იგი. „ეძებ იმასთან საიდუმლოს — ჰპოვებ; ეძებ ნათლისღებას; ეძებ სიმბოლოს — ჰპოვებ. მაგრამ ყოველივე ეს ფორმაა. თუ შიგნით სული არ არის, მაშ ტყუილად კვეხულობ ფორმას.“ (ავგუსტინე — 26, 2). ეს, რაც ეკლესიიდგან გამდგარ წევრებს აკლიათ სული შინაგანი, — არის სული ერთობისა და სიყვარულისა, რომელიც მოფენილია სვენ ზედა სულის წმიდის მიერ (რომ. V, 5). ის არის ნამდვილი წევრი ეკლესიისა, რომელსაც აქვს სიყვარული და მისწრაფება ერთობისაკენ, იმიტომ რომ იგი იმყოფება ზიარად მთელი ეკლესიის სხეულის სულთან, და სულთან წმიდასთან, და ამითი ხდება იგი ზიარ ეკლესიიდგან გარდამომავალი მადლისა.

თუ როგორ ხდება მორწმუნე სახარების სიყვარულის მიერ ეკლესიის სხეულის განუყრელ წევრად, რომელიც სულის წმინდის ძალით სცოცხლობს, და როგორ ხდება იგი ამითი ზიარ მისი მადლიანი ნიჭისა, — ამას მშვენივრათ ხსნის ეკლესიის მოძღვარი — ნეტარი ავგუსტინე. „თუ რომ ეხლა, — ამბობს იგი, ქრისტეს მორწმუნე ვერა ლაპარაკობს ყველა ხალხების ენებზე, — განა ამითი უნდა ვიფიქროთ, რომ იმას არ მიეღია სული წმიდა? — ჩვენ ვიცით, რომ ყოველი მონათლული მიიღებს სული წმიდას, მაგრამ ვერ ლაპარაკობს სხვა და სხვა ენებზე იმიტომ, რომ თვით ეკლესია ლაპარაკობს ყველა ხალხების ენებზე. ეხლა მთელ ქვეყანაზე გავრცელებული ეკლესია ლაპარაკობს სხვა და სხვა ენით. იგი არის ქრისტეს სხეული; ჩვენ წევრები ვართ ამ სხეულში. და რადგანაც შენც ხარ წევრი იმ სხეულისა, რომელიც ყველა ენებზე ლაპარაკობს, დარწმუნდი, რომ შენც ლაპარაკობ ყველა ენებზე. ერთიანობა წევრებისა შეკრულია სიყვარულით. და ეს ერთიანობა ლაპარაკობს ეხლა ისე, როგორც ლაპარაკობდა მაშინ ერთი კაცი. მაშასადამე, ჩვენ ვღებულობთ სული წმიდას, უკეთუ გვეყვარება ეკლესია, და შეკავშირებული ვიქნებით სიყვარულით... გვრწამდეს, ძმანო, რომ რამდენათაც ვინმეს ეყვარება ქრისტეს ეკლესია, იმდენად ხდება იგი თანაზიარ სული წმინდის მაცხოვნებელი მადლისა... თუ შენ გიყვარს ერთიანობა ეკლესიისა, მაშინ რაც რამე სხვას აქვს შენი იქნება. განაგდე სიძულვილი, და შენი იქნება ის, რაც მე მაქვს. განვაგდებ სიძულვილს, და ჩემი იქნება ის, რაც შენ გაქვს“. (Трактатъ на Еванг. отъ Іоан. — XXXII, 7—8). „გვაქვს ჩვენ სული წმინდა, უკეთუ გვიყვარს ეკლესია. გვიყვარს, უკეთუ ვიმყოფებით მის კავშირში და სიყვარულში“. (იქვე). როგორც ხალხის კავშირს ანუ ხალხის საზოგადოებას, ეკლესიას შეუძლიან არსებობა მხოლოდ მაშინ თუ მისი წევრები ერთდებიან ანუ კავშირდებიან არა მხოლოდ შინაგანი დისციპლინის ერთიანობით, ესე იგი, ერთის სარწმუნოებით, წოდებით და სასოებით, — ამაზედ გარეგანითაც, ესე იგი აქ უნდა იყვეს გარეგნული წესიერებაც, თავისი მართველობა, თავისი წყობილება, თავისი მოწესენი, წევრებთა შორის მორჩილება. ასეთ წესიერების საჭიროებაზე, და რომ იგი თვით ღვთისაგან არის დაფუძნებული, ამბობს პავლე მოციქული: „და რომელნიმე დაადგინნა ღმერთმან ეკლესიათა, პირველად მოციქულნი, მეორედ წინასწარმეტყველნი, მესამედ მოძღვარნი... ნუ ყოველნი მოციქულ იყვნენა? ნუ ყოველნი წინასწარმეტყველ? ნუ ყოველნი მოძღვარ? • ნუ ყოველნი ძალ?“. (1 კორ. 12, 28—29). შემდეგ ეკლესიას მოციქული ადარებს კაცის სხეულს, ერთიანად უწოდებს მას ქრისტეს სხეულად, ხოლო ცალ-ცალკე მორწმუნეებს — ამ სხეულის წევრებად, დასამტკიცებლად ერთმანეთის დამორჩილე-

ბისა, იგი ამბობს: „და რამეთუ გვამი იგი არა არს ერთ ასო, არამედ მრავალ. უკეთუ სთქვას ფერხმან, ვინაიდგან არა ვარ ხელ, არა ვარ მის გვამისაგან; ნუ თუ ამისთვის მართლა არ არის მის გვამისაგან? ანუ თუ სთქვას ყურმან, რამეთუ არა ვარ თვალ, არა ვარ მის გვამისაგანი, ნუ ამისთვის არა არსა მის გვამისაგანი? უკეთუ ყოველი გვამი თვალ იყოს, სადა არს სასმენელნი? უკეთუ ყოველი სასმენელ იყოს, სადა არიან საყნოსელნი? აწ ესერა ღმერთმან დაჰსხნა ასონი იგი თვითეულად გვამსა მას შინა, ვითვრცა ინება. ხოლო უკეთუმცა იყო ყოველი ერთ-ასო, სადამცა იყო გვამი იგი? ხოლო აწ მრავალ არს ასოები, და ერთ გვამი. ხოლო ვერ ხელეწიფების თვალსა, ვითარმცა ჰრქვა ხელსა: არა მიხმ შენ; ანუ კვალად თავსა და ფერხთა, ვითარმედ არა მიხმ შენ; ანუ კვალად თავსა და ფერხთა, ვითარმედ არა მიხმთ თქვენ. არამედ უფროჲსლა უმეტეს, რომელი იგი საგონებელ არს ასო გვამისა მის უუძლურესად, იგი უსახმარეს არს.. არამედ ღმერთმან შეჰზავა გვამი იგი, და ნაკლულსა მას უმეტესი მისცა პატივი, რათა არა იყოს წვალება ხორცთა მათ შინა, არამედ მასვე ერთი ერთისათვის ზრუნვიდენ ასონი იგი“ (ა. კორინთ. 12, 14—22, 24—25).

საჭიროება ეკლესიის გარეგნული წესწყობილებისა გამოწვეულია ეკლესიის თვით მორწმუნეთა წევრების სიკეთით, რათა მათ უფრო ადვილად და რამდვილად მიახწიონ თავის მაღალი წოდების მიზანს, რათა ფართოდ და სრულად განახორციელონ სახარების ცხოვრების იდეალი. „იმან (ესე იგი, უფალმან),—სწერს იგივე მოციქული,—მოსცნა, რომელიმე მოციქულნი, რომელნიმე წინასწარმეტყველნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყეესნი და მოძღვარნი“... რისთვის?, თითქოს კითხულობს მოციქული; და პასუხად ამ საგულისხმო კითხვაზე განაგრძობს: „დასამტკიცებლად წმიდათა, საქმედ მსახურებისა, აღსაშენებელად გვამისა ქრისტესისა; ვიდრემდე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღვთისასა, მაშა-კაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა; რათა არღარა ვიყვნეთ ყრმა ჩვილ, ღელვა—აღტეხილ და მიმოტაცებულ ყოველსა მას ქარსა მოძღვრებისასა, სივერაგითა კაცთათა და ზაკვალებითა მანქანებისა მის მიმართ საცთურებისა; არამედ ჭეშმარიტ-ვიყვნეთ სიყვარულსა ზედა და აღვაორძინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელ არს თავ მისა ქრისტე, რომლისაგან ყოველი გვამი, შენაწევრებულ და შემტკიცებულ არს ყოველითა შეახლებითა უხვებისათა შეწევნისამებრ საზომისა თვითეულისა ასოჲსა, სიორძილსა მას გვამისასა ჰყოფდით აღსაშენებლად თივისა თქვენისა სიყვარულით“ (ეფეს. 4, 11—16). მოციქულის ამ სიტყვებში არის ნათქვამი, ერთის მხრივ ის, რომ თვით უფალმა განაწესა გარეგანი—ადმინისტრატიული წესი ეკლესიისა, ეკლესიის მართველობის და დისციპლინისა; —მეორეს მხრივ,—ნაჩვენებია მიზანი ასეთ დაწესებულებათა, სახელდობრ, რომ ჩვენ ბავშვებივით არ გავყვეთ ყოველგვარ კაცის მოძღვრებას, რომელსაც უნდა ვერაგულად შეგვაცდუნოს, არამედ მივწვდეთ იმას, „რომელიც არის თავი ქრისტე“, რათა უფრო დაუბრკოლებლათ განვახორციელოთ იდეალი ქრისტიანობრივი სისრულისა და შევიძინოთ ცხოვნება. ეს შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიაში, იმიტომ რომ იგი არის სხეული ქრისტესი, და თავი მისი ქრისტეა, რომლიდგანაც თითო წევრი ამ სხეულისა, ახლო შეკავშირების გამო, მიიღებს ძალას თავის გაკეთილოვანებისთვის. და რომ ქრისტე არის თავი ეკლესიისა, ეს ნათლად სჩანს მოციქულის სიტყვებიდგან: „იგი (ქრისტე) არს თავი გვამისა მის ეკლესიისა“ (კოლ. 1, 18). ამნაირათ, ის არის ეკლესიაში, ვისაც, აქვს კავშირი და შეხება მის თავთან. ის, რომელიც ეკლესიაში არ არის, მოკლებულია ცხოველმყოფელ ძალას, რომელიც გამოდის ეკლესიის თავიდან, იმის მზგავსად, როგორც ადამიანის სხეულში ყოველი ნაწილი იღებს განმახორციელებელ ძალას სულისას, მანამ ცხოველი კავშირი აქვს ცხოველთან. მხოლოდ აქ ეკლესიაშია ჭეშმარიტება, რომელსაც გვაძლევს მასში დამკვიდრებული სული წმინდა (იოან. 16, 13), და ის ეკლესიის ცნობიერება, რო-

მელიც განმტკიცებულია მოციქულებისაგან, სალმრთო გადმოცემისაგან და წმინდათა ეკლესიის მამათა და მოძღვართა დაჭეშმარიტებით. დააფუძნა რა ეკლესია ხალხის ცხოვნების ხელშესაწყობლად. უფალმა იესო ქრისტემ დააწესა საჭიროებაც გარეგანი რამოდენიმე წესწყობილებისა. იმან განაწესა უფლება ეკლესიისა, ანუ იერარქია, ასე რომ ერთიანობა ეკლესიის საზოგადოებისა უნდა განმტკიცდებოდეს ერთის სარწმუნოებით, და გარდა ამისა,—ერთის ეკლესიის უფლებით, და საჭიროა გამოიხატებოდეს ასეთ თუ ისეთ კულტში და რელიგიოზურ გარეგნულ წესში. ეხლა ბევრს უნდა უარჰყოს ღვთისმსახურებაში გარეგნული წესი; ამბობენ, წესი ეს უბრალო რამეა და სრულიადაც არ არის საჭირო. ასეთი აზრის მიღება სამართლიანად არ შეიძლება. მართალია, უნდა დავთანხმდეთ იმაში, რომ გარეგან წესს აქვს პირობითი მნიშვნელობა, რომ იგი ცვალებადია, მაგრამ იმის თქმაკი არ შეიძლება, რომ რელიგიოზური წესი საჭირო არ არის, და შეიძლება უიმისოდ დარჩენა. ადამიანი არის არსება არა მარტო სულიერი, არამედ ხორციელიც, და სანამ იგი სცხოვრობს დედამიწაზე, მანამდის იგი ვერ განთავისუფლდება გარეგანი რელიგიოზური წესისაგან. თუ ჩვენ ავიღებთ ადამიანის ჩვეულებრივ ცხოვრებას, იგი მთლად შესდგება გარეგანი წესისაგან. ეგევი უნდა ითქვას თვით მოწინავე კულტურულ ხალხზედაც. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში წესი ასეთ ფორმაში გამოიხატება, ხოლო მეორეში—სხვა ფორმაში, უფრო გასუფთავებულში, რომელსაც მაღალი აზრი ექნება. რაც შეეხება საკუთრივ ეკლესიურ წესს, აქ ყოველ შემთხვევაში, გარეგან საფარველში გახვეულია ყოველთვის რაიმე მაღალი აზრი. რა თქმა უნდა, რელიგიოზური ვითარება არის განსაკუთრებით სულიერი, სადაც, თითქოს, არ უნდა ჰქონდეს ადგილი არაფერ გარეგნულს. მაგრამ ამასთან ისიც ნამდვილია, რომ კაცს არ შეუძლიან ხელი აიღოს გარეგნულ ხორციელ ცხოვრების ფორმებზე. შინაგანი, სულიერი, ნამდვილი თავის სახით, მისთვის მეტად მაღალი და მიუწვდომელია, რადგანაც იგი იმყოფება მუდმივ და ძლიერ დამოკიდებულობაში გარეგნულ გრძნობათა და შთაბეჭდილებათაგან. განვითარება ადამიანის სულისა იწყება გარეგნულ გრძნობათა მოქმედებით, ასე რომ თვით უმაღლესი გონებრივი პროცესსი ანუ აზროვნება ხდება გრძნობადი მიხედვის ანალოდიით. გარეგნული შთაბეჭდილება აუცილებლად მოქმედობს ხალხზე და ცოტათ თუ ბევრათ შეუძლიან ხელი შეუწყოს ადამიანის შინაგან—სულიერ ზრდას, აღამაღლოს მისი გული და აზრი გარეგანიდგან შინაგანზე, მატერიალურიდგან სულიერზე დაბლიდგან მაღალზე.

(შემდეგი იქნება).

ი. ლუკიანოვი.

Ყ დ სამღვდელო ლეონიდეს მოგზაურობა გურიაში.

გაგრძელება[1])

აგერ ლეხაურშიც მივედით. მცხოვრებელთა სახლებში ერჩევა და თავ მოწონებით გამოიყურება ლეხაურის ორ კლასიანი შკოლის სახლი. ყ-დ სამღვდელოს დიდათ ასიამოვნეს ამ სასწავლებლის ბავშვებმა თავიანთი ცოდნით და ეპისკოპოსმა საკლასო წიგნში ჩაუწერა ბ.ბ. მასწავლებლებს მადლობა სვინდისიერი შრომისათვის.

ლეხაურის ეკლესია გარედან ვერ ახდენს რიგიან შთაბეჭდილებას, მაგრამ შიგ რომ შეხვალ, სურათი იცვლება და თვალ წინ გიდგება ქართული სტილის, მთლათ მოხატული, შუა ტანის, ძველი დროის, მშვენიერი თლილ ქვის, მოხდენილი ეკლესია.

ეკლესიაში შენახულია რამდენიმე ძველი ხატები, დაცულია აგრეთვე მეთერთმეტე საუკუნის სახარება ტყავზე, და ხელთ-ნაწერი სადღესასწაულო; აქვე ინახება ერთი, დაახლოებით ფუთ ნახევარი, საეკლესიო ზარი წარ-

[1]) იხ. შინ. საქ. № 27.

წერით. წარწერა მხედრულია გამობერილი ასოებით, წარწერა ვერ წავიკითხე, რადგანაც წვიმა მოდიოდა და ბინას მივეშურებოდით.

ეკლესია სავსე იყო ხალხით და ტკბებოდა მღ. მ. ნესტორ კონტრიძის, და მკლ. ნაკაშიძის, გუნდთა ძვირფასი გალობით. მისმა მეუფებამ დამსწრეთ განუმარტა, რამდენათ სასარგებლოა სამღრთო წირვა ცოცხლებთა და გარდაცვალებულთათვის. წირვაზე ჩვენთან ერთად ეკლესიაში იმყოფება ზეციერი მამა ჩვენი ღმერთი და მხსნელი სოფლისა იესო ქრისტე. რაც უნდა ცოდვილი იყოს კაცი, თუკი იგი გულს გადუხსნის ღმერთს და სთხოვს შენდობას, უეჭველად შეუსრულდება მას თხოვნა და არასოდეს ეკლესიიდამ არ გავა ისე, რომ თან არ გაიყოლოს მადლი ღვთისა. უნდა ვიცოდეთ, რომ წირვის დროს ჩვენთან ერთად იმყოფებიან აგრეთვე ჩვენი დედ-მამის, ჩვენი მიცვალებული ძმებისა და დების, შვილების და ნათესავების სულები.

როდესაც მიცვალებულის სულები ხედვენ ეკლესიაში თავიანთ ცოცხალ ნათესავებს, დიდათ უხარიანთ და თავის მხრითაც ეხმარებიან ცოცხლებს ღვთის წინაშე ვედრებით, მაგრამ თუ მათი ნათესავები არა სჩანან ეკლესიაში, დიდს მწუხარებაში და ტანჯვაში ვარდებიან.

ამ სიტყვამ ისე იმოქმედა ერთ ქალზედ, რომ ეკლესიიდამ გამოსულმა სხვა მანდილოსნებთან ფიცით აღიარა: „ღმერთმა დამსწყევლოს, თუ ლა მე ოდესმე წირვა ლოცვას დავაკლდე. თუკი ჩემი ქმარშვილის სულები ჩემის მოუსვლელობით შეწუხდებიან, მე რას უნდა მოუxდე სახლშიო!

ეკლესიიდამ ყ-დ სამღვდელო მიიპატიჟა მღ. ნესტორ კონტრიძემ. სადილზე, სხვა სტუმართა შორის, ბრძანდებოდა ოზურგეთის ქალაქის თავი ბ. ბებურ ბებურიშვილი.

ეს მოხუცებული იშვიათი მოსაუბრე და ზედ მიწევნით მცოდნეა სამშობლო ენისა: ამასთან დიდი მოსიყვარულე ყოფილა გურული გალობა—სიმღერისა. სადილზე გალობდა ორი გუნდი ზემო ხსენებული კონტრიძის და ნაკაშიძისა. ყ-დ სამღვდელომ ნება დართო ემღერათ საერო სიმღერებიც, ტკბილმა სიმღერამ და გალობამ. მისი მეუფება აღტაცებაში მოიყვანა და რამდენxერმე მადლობა უბრძანა მგალობლებს.

სადილ შემდეგ ყ-დ სამღვდელო ღამის გასათევად მიიწვია საკუთარ ბინაზე ბ. ბებურიშვილმა. პატივცემული მასპინძელი დიდათ მონდომებული იყო, რომ ყ-დ სამღვდელოსთვის გაეგონებინა, რაც კი შესანიშნავი რამ არის გურულ გალობა—სიმღერაში და რამდენათაც შესაძლო იყო, კიდეც შეასრულა ეს, მისმა მეუფებამ დიდ დავალებად ჩასთვალა ეს და გულითადი მადლობა გადაუხადა სტუმართ მოყვარე მასპინძელს.

თოთხმეტი მარტი იყო კვირა დღე. წირვის მოსმენა ყ-დ სამღვდელომ ინება აჭის ეკლესიაში. წირვის ბოლოს მღვდელთმთავარი გამობრძანდა ამბიონზე სამღვდელთმთავრო მანტიით და ხალხს მიმართა სიტყვით, რომლითაც გააცნო მსმენელებს, როგორ დაამყარეს ჩვენში ქრისტიანობა მოციქულმა ადრიამ და ღირსმა დედა ნინომ.

წმ. ნინო ნამდვილი მშობელი დედაა ჩვენი. მის მოსვლამდე ჩვენში ერი თაყვანსა სცემდა უბრალო კერპებს და იმ ზომამდე შეპყრობილნი იყვნენ დიდი და პატარა სიბნელით, რომ ადამიანს მსხვერპლად სწირავდენ ამ კერპებს. კერპს აკეთებენ ლითონისაგან კაცის სახით, წინ გაშვერილი ხელებით.

შიგნიდამ კერპი სულ ცარიელი იყო; მისი დღეობა რომ მოვიდოდა, მიჩენილი მოსამსახურეები კერპის შიგნით ანთებდენ დიდ ცეცხლს და როდესაც კერპი იმდენად გახურდებოდა, რომ ცეცხლის ფრად ლაპლაპს დაიწყებდა, უბედურ მშობლებს მიჰყავდათ თავიანთი პატარა შვილები და ხელში აძლევდენ საზარელ კერპს უდანაშაულო და უმანკო ქმნილებას. ადვილათ წარმოიდგენთ, რა xოxოტეთურ ტანxვა-წამებაში უნდა ამოსლოდათ სული საცოდავ ბავშვებს; ცხადათ მიხვდებით, როგორი კერპები, შეუბრალებელნი, უგრძნობელნი და უგულონი იქნებოდნენ ერთი მეორისათვის ისინი, ვინც წარბ შეუხრელად ცეცხლში ხრაკავდენ თავიანთ შვილებს, ვინც

გულ დინჯათ შეჰყურებდნენ ამ საკოდავ ბოვ-
შვების ვაებას!.

ამ მხეცობიდან და სიბნელიდან ჩვენი
ქვეყანა დაიხსნა წმ. ნინომ, მისი მხურვალე
ლოცვის ძალით დაიმსხვრა და მტვრად იქცა
უმსგავსი კერპი. წმ. ნინომ ხალხს აუხსნა,
რომ კერპის თაყვანის ცემა მაჩვენებელია ადა-
მიანის უგუნურებისა, კერპი ქმნილებაა კაცისა
და მას არავითარი ძალა, არავითარი აზრი,
და შეგნება არა აქვს. არის ჰეშმარიტი ღმერ-
თი, უხილავი, რომელმაც შექმნა ცა და ქვე-
ყანა და მას მხოლოს უნდა მსახურებდეს, მას
მხოლოს უნდა ლოცულობდეს და მარტოდ
მაზედ სასოებდეს ყოველი ადამიანიო.

ჩვენ ყველანი ღვთის გაჩენილები ვართ,
ყველას, ქალს და კაცს, დიდს და პატარას,
ღვთის საკუთარი უკვდავი სული გვ-დგია და
ჩვენის მხრით ღვთის მსახურება იმაში უნდა
გამოიხატებოდეს, რომ ეს სული შეუნახოთ
უფალს, ამ სულის მოთხოვნილების თანხმად
მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, ერთი მეორე
გვიყვარდეს, ერთმანეთი გვებრალებოდეს, ერ-
თი მეორეს ვშველოდეთ და მუდამ ერთი მეო-
რის ჭირ ვარამს ვიზიარებდეთ.

მადლიანმა ქადაგებამ ხალხს გული მო-
ულბო, ქართველებმა ნელ-ნელა იწყეს გადას-
ვლა წმ. ნინოს მხარეს და ბოლოს მთელი
ერი მოინათლა, მთელმა ერმა სცნა ჰეშმარი-
ტი ღმერთი და მეფიდამ დაწყებული უკანას-
კნელ გლეხამდე ყველანი დაემოწაფნენ ქვეყ-
ნის მხსნელს, მაცხოვარს იესო ქრისტეს.

ამ გარემოებამ სულ სხვა გზაზე დააყენა
და სხვა ელფერი მისცა ქართველების ცხოვ-
რებას. საქართველოს კუთხეებში იწყეს ისეთი
დიდებული ბრწყინვალე და შესანიშნი ტაძ-
რების შენება, როგორიც არის მაგალითად ეს
მამაპაოგან დარჩომილი თქვენი სალოცავი.
როგორც ხედავთ, ეკლესია ზემოდამ დაბლამ-
დე ოთხ მხრივ დაფარულია მხატრობით. ასე-
თებია ყველგან ძველი ეკლესიები.

ამას ჩადიოდენ ჩვენი ძველები იმ აზრით,
რომ ყველას თვალ წინ სდგომიყო ის, რის
ცოდნაც საჭალდებულოა ყოველი ქრისტიანისა-
თვის, რის მიმდევარიც უნდა იყოს თავის სი-
ცოცხლეში მორწმუნე ქალი და კაცი, რაც
უნდა ამხნევებდეს და სანთელსავით გზას უნა-
თებდეს ქრისტიანს.

წიგნი, წერა-კითხვა ყველას არ შეუძ-
ლიან იცოდეს, დახატულს კი ყველა დაინა-
ხავს და თუ ერთხელ აუხსნა მოძღვარმა უწიგ-
ნო კაცს მხატვრობა, მერე უწიგნოთაც ეკნებათ
დახატულის შეგნება, მერე ისიც თავისუფ-
ლად წაიკითხავს დახატულის აზრს და თავის
მხრივ, როგორც წიგნის მცოდნე, ისე გადას-
ცემს სხვას. ამ გვარად სალოცავები ჩვენში
ერთსა და იმავე დროს შკოლების დანიშნუ-
ლებასაც ასრულებდნენ და ამითი აიხსნება,
რომ მტკიცედ და ღრმად გაუჯდა ჩვენ ერს
ძვალ რბილში ქრისტეს მოძღვრება.

ქრისტიანობამ დაბადა ჩვენში მწიგნობ-
რობა, წერა-კითხვა და მეცნიერება, მან ააყ-
ვავა, გააძლიერა, გა-მშვენა და უმაღლეს ხა-
რისხამდე განავითარა ჩვენი ენა. ქრისტიანო-
ბამ შეაყვარა ქართველ ერს სამშობლო და
ყველას საღმრთო მოვალეობად მიაჩნდა სამ-
შობლოს ბედნიერებისათვის თავის შეწირვა.

ამითი უნდა ავხსნათ, რომ თუმცა ქარ-
თველობა ყოველ მხრიდამ შეზღუდული იყო
დაუნდობელი მტრებით, მ-გრამ ყველა მტერი
დასთურგნა, ყველა გაჭირვება გადაიტანა და
დღევანდლამდე შეინარჩუნა თავისი მიწა წყა-
ლი.

აი სხვათა შორის, რა სამსახური გაგვი-
წია ქრისტიანობამ ქართველებს.

დღეს, სამწუხაროდ, გამოჩნდნენ პირები,
რომლებიც ჰგმობენ ქრისტიანობას და გვირ-
ჩევენ მის დავ-წყებას, უარის ყოფას და სამუ-
დამოთ თავიდამ მოშორებას. ქრისტიანობის
მოწინააღმდეგე მქადაგებლების აზრი რომ
მდაბიოთ და ყველასთვის გასაგები სიტყვებით
გამოვსთქვათ, გამოვა შემდეგი: ქართველო,
ისევ გაწარმათდი, ე. ი. ისევე დაიბნელე გო-
ნება და ზნეობა, ისევ შეიძულე შენი მოყვასი,
დაკარგე და გაატიალე მამა პაპათა სისხლით
მორწყული მიწა-წყალიო, ე. ი. შენივე საკუ-
თარი ხელით მოისპე სიცოცხლეო.

არ შეცდეთ, ჩემო სულიერო შვილებო, არამც და არამც გულში არ გაიტაროთ ქრისტიანობის ღალატი. თქვენი ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ხელმძღვანელი, თქვენი გზის მაჩვენებელი და უცდომელი მაქადაგებელია ეს თქვენი სალოცავი. მისი მოხატული კედლები თითონ გეუბნებიან, რა მიმართულებას უნდა ადგეთ ცხოვრებაში და რა აზრები უნდა მოქმედებდენ თქვენს გულსა და გონებას. გიყვარდეთ ღმერთი, გიყვარდეთ ქრისტიანობა, გიყვარდეთ ერთმანეთი და ღმერთიც არასოდეს არ გაგწირავთ, როგორც არ გაუწირავს თქვენი ძვებლი.

სიტყვის და ხალხის კურთხევის შემდეგ ყ-დ სამღვდელომ გულ დადებით დაათვალიერა მხატრობა, რომელიც ჩინებულათ შენახულა და ცხოველად მოსჩანს კედლებზე. მთელი დასავლეთის კედელი დაჭერილია წმ. გიორგის ცხოვრებიდამ ამოღებული შემთხვევის გამოხატულობით. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებზე გამოყვანილია ათორმეტი საუფლო და საღვთის მშობლო დღესასწაულევების მხატრობა, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს მიძინება ყ-დ წმიდისა. დედა ღვთის გარშემო შეკრებილან წ. მოციქულნი, შუაში სდგას მაცხოვარი იესო ქრისტე, ხელში უჭირავს დედა თვისი სულიერათ, ზეციდამ მიემგზავრებიან ანგელოსნი და ხელში ᲭᲠᲔᲚ არშიანი არდაგი უჭირავთ.

სულ დაბლა იატაკზე ზედ დაწდომით დახატულები არიან მღვდელთმთავრები და მოწამეები.

ბატონმა უბრძანა მამა ბლაღოჩინს ეკლესიის გვერდებზედ გარეშემთ სუფთა ხარიხა გაუკეთეთ, რომ კაცი კედლებს არ ეხახუნებოდეს და ამითი მხატრობა არ წახდესო.

ვიწრო და მთიან—ტყიანი აჭის ხეობიდამ ყ-დ სამღვდელო წაბრძანდა სოფ მაკვანეთში, რომელიც გაშენებულია ხელის გულივით გაშლილ ვაკეზე.

(შემდეგი იქნება).

№

ის მაინც ეზიარა!

(ᲭᲣᲛᲪᲜᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ Ნ. ᲩᲐᲡᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲕᲜᲐᲡ).

ᲯᲔᲠ კიდევ 16 წლისა იყო იგი, რომ მას გაუჩნდა საზარელი სენი, საშიშარი ავათმყოფობა, რომლის წინაშე უძლურია მეცნიერთა ცდა-მეცადინეობა, რომელი სენიც ადამიანის ფილტვებს ღრღნის, ხრავს და მთელ სხეულს შხამავს. ნიჭი სწავლისა კი მას საოცარი ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, მხოლოდ მასწავლებლის ერთი ახსნა კმარიყო, მცირე მასალას მისგან მიღებულს მისი გონება-ნიჭი ძლიერ ფართოდ ამუშავებდა, ყოველიფრის მიზეზ-შედეგებს აგებინებდა. ნიჭი უძღოდა მას ისე, რომ ავათმყოფობამ ვერ შეაშინა და დაასრულა კიდეც უმაღლესი სასწავლებელი. გული სპეტაკი, შემბრალ-მოსიყვარულე ადამიანის, მᲭᲔᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚ-მომხიბლველი მოლაპარაკე, მაღალ საკნებზედ ძლიერ ჩაკვირვებულ დადინჯებულად-მობაასე და მეტყველი, გული უძგერდა მას ქვეყნად სიკეთის თესვა-ფენვისა, ᲭᲘᲠᲨᲘ მყოფთ, ბედით ჩაგრულთა ნუგეშ-ცემისთვის და. რომ დასცლოდა, ბევრს შეუშრობდა თვალზე ცრემლს თვისი თანაგრძნობითა!

მაგრამ ის სენი თანდათან მუხლებსა კვეთდა, გულს უწუხებდა, სიცოცხლის ნაცვლად სულ სიკვდილს დაუსახავ-მოაჩვენებდა და მძიმე ხველება,სისხლით ნარევი, მთელ მის არსებას შეაძრწუნებდა! დიდხანს ებრძოდა იგი ამ სენს, ძლიერ უვლიდა თავის თავს, არას ზოგავდა, რომ უდროოთ არ გაქრობოდა სიცოცხლის შუქი სრული 15 წელიწადი იტანჯებოდა, კენესა-ოხვრაში ატარებდა თავის დღეთ. ამაო გამოდგა მისთვის ყოველივე ცდა-საშვალება: სენი უფრო მარᲯᲕᲔ გამოდგა: თანდითან. დღე-დღეზე სიცოცხლის ძალას აკლებდა, სისხლს უწამლავდა და სიკვდილის პირზე მიაყენებდა. დაუᲥᲛᲓᲐ ნიჭი, მრავალ იმედის მომსწავებელი, დასუსტა ენა, ენა მრავალ კეთილ—მეტყველი, გულმაც სხვა ხმაზე უწყო კრთოლვა და ძგერა!

ცალკე ოთახში, მარტოთ მარტო წევს

სარეცელში, უიმედოთ ღონე მიხდილი. ერიდებიან მას თვისნი და მეგობარნი, მხოლოდ ხანდისხან ინახულებენ, რომ გამოხატონ თანაგრძნობანი! ყველას სიბრალულით ევსება გული, ხედვენ რა მისს ასეთ უმწეო მდგომარეობას, ნუგეშის თქმასაც ვერ ბედავენ, რადგან სიცრუე იქნება. მან თვითონ კარგათ იცის, რომ დათვლილია მისი სიცოცხლის დღენი, ხელების კანს ხშირ-ხშირად დასჩერებია და იქ კითხულობს ამბავს თვისს ბედისას. რით აიმედებ ასეთ ადამიანს? ცბიერობაში, ფარისევლობაში ჩამოგართმევს და უფრო აწყენინებ კიდეც.

შესჩერებიხარ მის ასეთ ტანჯვას, ვითა ოდესმე მართალ იობს— მის მეგობარნი.... შენც სული გიწუხს, გული გიღელავს, ათასი მწარე ტრიალობს თვალში, მისჩერებიხარ სიბრალულით ავათმყოფს, ყურს უგდებ მისს კვნესა-ოხვრას და საცოდავ გმინვას, და შენც ოხრავ, კვნესი და იტანჯები მასთან ერთად. საყვედურს უთვლი გულში ადამიანთა ტანჯვის მიზეზს და უსიტყვოდ ზიხარ მასთან რამოდენიმე წამს და მერე „მშვიდობით ნახვამდისო“ ეუბნები და ისე შორდები. მაგრამ სად არის მშვიდობა? განა ეს სიტყვა საწყენი არ არის მისთვის, ვინც უკვე გადასწყვიტა, რომ არ არის „მშვიდობა ძვალთა მისთა?“ მარა ნახვა ნათესავ-მეგობრებისა მისთვის მაინც რაღაც სანუგეშოა. შენ მიდიხარ. ის მარტო რჩება, უსიცოცხლოდ, სასოწარკვეთილებით შესჩერებია ოთახის კედლებს და, ვინ იცის, რა ფიქრები და გრძნობები ებადებიან მას?.

ჩემიც კარგი მეგობარი იყო ის. 5-6 წლის განმავლობაში აღარ მინახავს, რადგან იგი მაშინ სხვაგან ცხოვრებდა. მას შემდეგ მხოლოდ წელს, იანვარში, ქუთაისში ვინახულე, მაგრამ მისმა ნახვამ დამაღონა, გული მომიკლა. ის აღარ იყო მაშინ, რაც უწინ: მომღიმარათ სალამის მომცემი, მხიარულად სტუმრის მიმღები. მხოლოდ ეს მითხრა, როგორ ცხოვრობო და ამით გათავდა. ძალა არ შესწვდა ლაპარაკის და რას იქმოდა?

დიდხანს უცქირე მის ტანჯულ სახეს, თვალის უპეებში ცრემლები ჩამიდგა მის სიბრალულით. ვეღარ უძელი და ზეზე წამოვდექ წამოსასვლელად.

—„მოითმინეთ, ცოტა ხანსაო, მან წამსჩურჩულა; საქმე მაქვს შენთან. და ჯერ ვერ გაგიშვებო“. მეც გავჩერდი— გოცებული.— სუფთა სტაქანი წყლით სავსე და ჩაის კოვზი მომიტანეო იქ მყოფ რძალს უთხრა, რაც მყისვე შესრულებულ იქმნა.

—მამაო დაიწყო მან, ვატყობ რომ საქაოს აღარ ვეკუთვნი და გთხოვ მაზიარო, ძლიერ საჭიროდ მიმაჩნია ზიარება, დიდი ნუგეშია იგი ჩემთვის და ნუ მომაკლებ ამ ნუგეშსო! ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გამაცვიფრა—გამაოცა და დიდხანს ვიყავ გაჩერებული უხმოდ—უსულოდ.

„შენ გაკვირვებს, გატყობ, ჩემგან მოთხოვნა ზიარებისა, განაგრძო ისევ მან; ეხლა მოდაშია ყოველივეს უარისყოფა, და არ დაჯერება არაფრისა, გარდა მატერიალისტურ, სოციალისტურ აზრებისა; ხშირად ანაბანას მცოდნე, სხვისგან ჩანაბერი აზრების გაუგებრად მოტიტინე, სიკვდილის ჟამს უარს ამბობს ზიარებაზე და მით უნდა დაუმტკიცოს ყველას თავისი ცოდნა, გმირობა; ამას ჩადის ის, ვინც არ იცის უბრალო რამ და ადვილად გასაგები ჭეშმარიტება, ამავე დროს კი იგი ერთის ხელის მოქნევით, ერთის სიტყვის შეტყორცნით სპობს მიზეზთა მიზეზს, აბუჩად იგდებს სარწმუნოებას. ცოტათ ამაზე მეტი ნასწავლნი ხომ უფრო შორს მიდიან ღვთის უარყოფაში და მიტომ განა, მამაო, მეც მათ რიცხვში მთვლიო?—მაგრამ არა, აგრე ნუ ფიქრობ: ბევრს სცდილობენ ქრისტეს სწავლის დარღვევა-გამტყუნებასა, ბევრს სხვა და სხვა თეორია-გიპოტეზას სთხზვენ სწავლულები, მაგრამ ქრისტეს სწავლა-მოძღვრებასთან ესეთები არა ჩნდებიან; ჯერ ვერვინ შეიძლო სახარების აზრების გაყალბება—გამტყუნება, რაიც მოწმობს მის ღვთაებრიობას. ვერც ერთი მეცნიერი დარწმუნებით ვერ ამტკიცებს ღვთის არ ყოფნას, არ არსებობას, ქრისტე კი

რანაირი დაბეჯითებით—დარწმუნებით, შეურყეველად მოუთხრობს ყველას ზეციურ ამბავს, როგორც თვით მხილველი ყოველიფრისა; ვერსად ვვრც, ლაპარაკ-ქადაგებაში და ვერც სხვა მოქმედებაში, მას ვერ შენიშნავ რყევას ყოყმანობას და სჩანს რასაც ამბობს—ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ და მიტომ უმჯობესია ყველაზე უფრო ქრისტე ვიწამოთ და მისგან ნამცნევი სწავლა—სახელმძღვანელოთ გამოვიყენოთ და ვაღვიაროთ, რომ „ის მართლაც არის გზა და ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ“. უნდა გვწამდეს საიდუმლო ზიარება, როგორც თვით მისგან დაწესებული ჩვენი ღვთაებასთან შესაერთებლად და დიდ ნუგეშად—ცოდვათა შესამსუბუქებლად და მსურს ვეზიარო, მსურს უკანასკნელად გამოვხატო ჩემი მისდამი რწმენა და ამ იმედით დავტოვო ეს ქვეყანა, სადაც წილად მხვდა მხოლოდ ტანჯვა-წვალება და გავემგზავრო იმ ქვეყანაში, რომელზედაც გვითითებს ქრისტე სახარებაში;—ბევრი, ძალიანაც ბევრი, დაუმატა მან, გადამიკითხავს ღვთისუარმყოფელნი წიგნებიც, მარა გული ჩემი, არათუ ვერ კმაყოფილდება იმათი, სულაც ახლოს არ იკარებს იმათ აზრებს, მე მაინც აქეთ, სარწმუნოებისკენ, მიმელტვის გული, მე უფრო მიბლავს ქრისტეს სწავლა, ვიდრე სხვა ბრძენთა და მიტომ ვთხოულობ მე სასიკვდილე ზიარებასა და არა ისე, როგორც ბევრი უბრალო ჩვეულებით იქცევა. და მაშ, ნუღარ გიკვირს, მამაო, ნუღარ ოცდები ამ ჩემ სიტყვებზე და მაზიარე!“

მისმა ასეთმა აღსარებამ, სარწმუნოების გამოცხადებამ, აღტაცებაში მომიყვანა და, ვითცას მზემ ღრუბელი, ჩემ გულს სევდა ჩამოაშორა.—ადრეეც კი ვიცოდი მისი შეხედულობა უმაღლეს საგნებზედ, მარა მეგონა მწარე ტანჯვა, უსიხარულოთ განვლილი სიცოცხლე, მოშხამული სიყმაწვილე და დაუმსახურებელი დასჯა მასაც გასტეხდა, აზრს შეაცვლევინებდა ღვთაებაზედ, დაგმობიებდა სარწმუნოებას საღმთო წიგნებში გამოცხადებულს, მაგრამ სჩანს იგი ამ რწმენაში უფრო განმტკიცებულა არი თუ შესუსტებულა.

ვერ შეუსრულე მე მას თხოვნა—ვერ ვაზიარე, რადგან მგზავრათ ვიყავი მოსული და თან არ მქონდა, რაც რომ საჭიროა ამ გვარ საქმეში. და მეორე დღესს ხვა მღვდელს, მ. თ. დ. მას ეზიარებია და მასთანაც ისეთივე სარწმუნოება გამოეცხადებია, რომ ის მღვდელიც გაოცებულა და ამბობს არ შემხვედრია ჩემ მღვდლობაში ასეთი აღსარების მთქმელი და მორწმუნე ადამიანიო.

მაშინ როდესაც მნახველნი ვერ სდგებოდენ ისე, რომ ავად არ ეხსენებიათ ღმერთი ავათმყოფის ასე დატანჯვისთვის, თვით იგი ზეცას აღაპყრობს გონებას და იქ ეძიებს თვისსა ნუგეშსა და ღებულობს წმ. ზიარებასა და იგი მაინც ეზიარა!

აი მისაბაძი მაგალითი ბევრისათვის ჩვენს დროებაში!

ის გარდიცვალა იანვარშივე. გასვენებისას მის კუბოს არ ამკობდენ გვირგვინები, თუმცა ღირსი იყო. არც წარმოთქმულა სიტყვები, დამხასიათებელნი მისი კაი კაცობისა, მაშინ როდესაც ბევრით მაზედ მდარესა დიდის ქებით ამკობენ და პატივით ასვენებენ. მას აქაც უღალატა ბედმა, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, და იგი ერთ უბრალო ადამიანივით დაიმარხა ცივ სამარეში.

ვერ დავესწარი მაშინ მე გასვენებაზე და ამიტომ აქ ამ სტრიქონებმა დაამტკიცონ ჩემი მისდამი პატივისცემა.

მღ. დ. ლოსაბერიძე.

15 იულისი 1910 წ. ს. წყალშავი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „განათლების“ შინაურ მიმოხილვაში ბ. კახაბერი უწუნებს გაზეთ „ახალ გზას“ შეხედულობას სამღვთო სკულის სწავლების შესახებ პირველდაწყებით სკოლებში და ამბობს შემდეგს:

„ვერ ვეთანხმებით გაზეთ „ახალ გზას“ ბევრს სხვა შენიშვნებში. ავიღოთ თუნდა საღმრთო სკულის სწავლების საქმე სახალხო სკოლებში, რაც გაზეთს უადგილოდ მიაჩნია

და რასაც მცირე ადგილს უთმობს და იმასაც მხოლოდ მეოთხე განყოფილებაში. საღმრთო სჯულის სწავლების საკითხი მეტად რთულია ეს საკითხი ევროპის მოწინავე ქვეყნებშიაც ვერ გადაუწყვეტიათ ისე, რომ სრულიად განდევნონ მისი სწავლება სკოლებიდან. მართალია ზოგან უფრო განათლებული ქვეყნების სასკოლო პროგრამაში საღმრთო სჯული არ შედის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადმე რელიგიოზურ სწავლა განათლებას სრულიად უარს ჰყოფდენ, ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ასეთ სკოლებში ხშირად თავს იყრიან ისეთი ბავშვები, რომლებიც სარწმუნოების მხრით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. აქ ყველა სარწმუნოების ჯგუფს სრული უფლება აქვს თავისი სარწმუნოების მიხედვით მიიღოს რელიგიოზური სწავლა—განათლება, რისთვისაც იწვევენ სასულიერო ან საერო პირებს სჯულის მასწავლებლად. იქ კი, სადაც სკოლაში ერთი სარწმუნოების ბავშვები დადიან სკოლებში, თითოეულ მათგანს თავისი საღმრთო სჯულის მასწავლებელიც ჰყავს. მაგალითისათვის მოვიყვანთ შვეიცარიას, ქვეყანას, რომელიც საღმრთო სჯულის სწავლებაში უფრო ნეიტრალობას იჭერს. ციურიხის სკოლებში საღმრთო ისტორიის და საზნეობრივი ცნობებს I—VI კლასამდის Primarschule ასწავლის თვითონ მასწავლებელი, რომელიც საგანს ასწავლის კონფესიონალური სარჩულის უარყოფით, როგორც საზოგადო მორალურ დოკტრინებს; მხოლოდ VII და VIII კლასებში საღმრთო სჯულის სწავლება გადადის ადგილობრივი მღვდლების ხელში, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ კლასებში საღმრთო-სჯულის გაკვეთილები სავალდებულოდ არ ითვლება. ვაადტის ყველა სკოლებში ასწავლიან საღმრთო სჯულს. ჟენევის სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლებას ფაკულტეტიური სახე აქვს, როგორც კათოლიკეთა ისე ლოთრანგთა მღვდლები ასწავლიან სკოლებში თავიანთ აღსარებას. საღმრთო სჯულის გაკვეთილებს აქ ნიშვნენ სასწავლო დროს გარეთ. ბერნის სკოლებში ქრისტიანულ სარწმუნოებას ბიბლიურ ისტორიის საფუძველზე ასწავლიან, მაგრამ ეს სწავლება სწარმოებს ან პირველ გაკვეთილზე, ან ყველა გაკვეთილების ბოლოს. ბევრგან ლოთრანგთა ბავშვები საღმრთო სჯულის გაკვეთილებს ეკლესიაში ისმენენ, რასაც ზამთრის თვეებში ყოველ კვირაში ორჯელ ნახევარ დღეს ანდომებენ და თუ ამ გაკვეთილებზე დამწრენი ბლომად არიან, სკოლის სამხრუნველო განკარგულებას ახდენს შესწყვიტონ ამ დროს სკოლაში მეცადინეობა. მოვიყვანდით სხვა ქვეყნების მაგალითებსაც, რომ საღმრთო სჯულის სწავლება არც ისე გაძევებულია სკოლებიდან, როგორც ზოგიერთებს გონიათ, მაგრამ მოყვანილი ფაკტებიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ შეიძლება ეს საგანი სკოლებშიაც ასწავლონ, მხოლოდ საჭიროა სასურველი რეფორმები, რომ საღმრთო სჯულის სწავლებამ დისგარმონია არ შეიტანოს სკოლის ცხოვრებაში და არ დაჰბადოს ბავშვის გონებაში რაიმე საწინააღმდეგო აზრები—ეს კი შესაძლებელია, როცა საღმრთო სჯულს მასწავლებელი ასწავლის და არა მღვდელი, რაშიაც ვეთანხმებით ახალ გზას".

სამართლიანად ამბობენ, რომ ბავშვი თავის ცხოვრებაში განიცდის ყველაფერს, რაც კაცობრიობას გამოუვლია თავის ცხოვრებაში, რელიგიოზური გრძნობაც ბავშს თან დაყოლილი აქვს, ველურების მსგავსად ბავშსაც ისე არ შეუძლიან ღმერთი წარმოიდგინოს, თუ არა ადამიანის სახით, ადამიანის ყოველგვარ თვისებებით და ჩვეულებებით, მაგრამ დრო გადის და ბავშვიც იცვლის ამ გვარ შეხედულობას, უფრო ადრე შეიცვლის, რამდენადაც მარტივად აუხსნიან და გააგებინებენ რელიგიოზურს ცნებებს, ისე კი ადამიანი რჩება პირველ ყოფილ ველურ მდგომარეობაში. მაშასადამე საღმრთო სჯულის წესიერად სწავლება კი არ უხშავს ბავშვს გონებას, პირიქით უფრო ასაზრდოებს მის ჭკუა-გონებას, ფანტაზიას წაახალისებს, თუ კი სწავლება წესიერად არის დაყენებული.

გაზეთ „ახალ გზას" საღმრთო სჯულის მასალა, რაც მოქცეულია „სანიმუშო პროგრამებში" ვრცლად მიაჩნია. პირიქით, რომ შეადაროთ ეს მასალა სხვა პროგრამებს, რომელიც არსებობს დღევანდელს სკოლებში, დარწმუნდებით, რომ ბევრად ნაკლებია და ისიც ისეთი მასალაა დასახელებული, რომლის ასე თუ ისე შესწავლა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვების ზნეობრივ განვითარებას. ლოცვებიც ძლიერ ცოტაა საზეპირო და ისიც ისეთები, რომლის აზრი ბავშისათვის გაუგებარი არ არის. თუ რამდენს საზეპიროს აძლევენ უცხოეთში მოწაფეებს, სჩანს კანტონ შაფჰაუზენის სახალხო სკოლების პროგრა-

მიდან. მეორე წელიწადს ასწავლიან ზეპირად 60 ტექსტს საეკლესიო საგალობლებიდან ბიბლიურ მოთხრობებთან დაკავშირებით, მესამე და მეოთხე წელიწადს ამდენსავე, მეხუთე და მეექვსე წელიწადს 40 ტექსტს საზეპიროდ და 5 საგალობლად. „ქრისტეს შესახებ მოკლე ცნობები და მოკლე განმარტება ქრისტიანობისა“, რასაც „ახ. გზა“ გვირჩევს, საკმარისად არ მიგვაჩნია არც პედაგოგიურის მხრით და არც ზნეობრივი სწავლების სიმტკიცისათვის. ჩვენ არ გამოუდგებით იმის დამტკიცებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ძველ აღთქმის ისტორიის ზოგიერთს ადგილებს მაინც, ეს უეჭველია თითოეულს ჩვენთაგანს გამოუცდია თავის თავზე, ვიტყვი იმასაც—არიან ისეთი შესანიშნავი და ცნობილი პირები, როგორც მაგ. ლ. ტოლსტოი, რომელსაც დაბადება (ბიბლია) საუკეთესო წიგნად მიაჩნია სახალხო სკოლებში საკითხავად.

ამბობენ სარწმუნოების სწავლება ოჯახს მივანდოთო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ გვყავს კი ისეთი ოჯახი, რომელიც გაუძღვება ამ საქმეს? რამდენს განსაცდელს გამოივლის ჩვენი ხალხი, თუ მას ერთი მხარე ზნეობრივი აღზრდისა ჩამოშორდება. ამასთან ბევრი ჩვენში და სხვაგანაც რჩება იმ ზნეობრივი ცოდნის ამარა, რასაც დასაწყისი სკოლა აძლევს, შემდეგში მეცნიერების შესწავლას ბევრი მოკლებულია, რომ უკეთ განმტკიცოს ზნეობრივი მხარე და ამიტომაც უფრო საჭიროა სახალხო სკოლებში სარგებლობა ყოველის ღონისძიებისა, რაც ხალხის ზნეობას ხელს უწყობს და მაღლა აყენებს. ერთი ამ საშუალებათაგანი საღმრთო სჯულის წესიერი სწავლებაც არის.

მართალია მეცნიერების შესწავლაც ხელს უწყობს ზნეობრივს აღზრდას და ამიტომ შემცდარი ბრძანდება მამა დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი, რომელიც ურჩევს მასწავლებლებს „ყოველი თავისი მოქმედება დაამყარონ სარწმუნოებრივ ნიადაგზე“ (იხ. „სახალხო გაზეთი“ № 85), მაგრამ საღმრთო სჯულიც ერთს საჭირო საგანს წარმოადგენს ხალხის ზნეობის განსპეტაკების მხრით, თუ მისი სწავლებით არ ჩაგონებენ ხალხს ბატონ-ყმურს მოთმინებას და ამა ქვეყნის ძლიერთა ბატონობას უფრო სუსტებზე, რაც პირველთათვის ხელსაყრელია, მაგრამ უზნეო და მეორესათვის კი ყოველის მხრით საზარალო; არამედ გადასცემენ წმინდა ზნეობრივ მოძღვრებას, რომელსაც დღემდის შეუნახავს ქართველი ერი, ისტორიულს ქარცეცხლში გატარებული.

შემცდარია „ახალი გზა“, როცა ამბობს „სასულიერო გალობაც უნდა ამოიშალოს პროგრამიდან და დარჩეს მარტო ხალხური სიმღერებიო“. მეტად ცალმხრივი შეხედულობაა. მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ქართული საეკლესიო გალობა ხალხური კილოდან წარმოსდგაო, რადგანაც ხალხურ სიმღერებსა და საეკლესიო გალობას შორის დიდს მსგავსებას პოულობენ. ყველა სიმღერა-გალობაში ხალხის სული ტრიალებს, შიგ არის ჩაქსოვილი ხალხის გრძნობა, სიმხიარულე, სულის კვეთება, სულ-მაღლობა და მრავალი საუნჯე წარსული დროებისა, ხალხმა შეჰქმნა სიმღერა-გალობა, დროს განმავლობაში გაამშვენიერა იგი, პირველ ყოფილი სიმღერა გადაიქცა ბუნების ჰიმნად, გალობად და ანდერძად გადაეცა შთამომავლობას; ქართული საეკლესიო გალობა არა ნაკლებ ტკბილი, სასიამოვნო და ესტეტიური გრძნობის აღმძვრელია, ვიდრე სახალხო სიმღერები, რომელთა შორის ბევრი არც შესაფერისია სკოლაში შესასწავლად. მაშრა უფლება გვაქვს უარ-ჰყოთ ის, რაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში ერს შეუქნია, თავისი სულის კვეთება შიგ ჩაუტანებია და საშვილიშვილოდ გადმოუცია, ნუ თუ ეს არ იქნება ეროვნულ ნიადაგს დაშორება, ან ცალი ფეხით მოკიდება ეროვნულს ნიადაგზედ?!

„სასულიერო გალობას სახალხო სკოლებში არ ასწავლიან, არც არავინ ამას ყურადღებას არ აქცევსო“, ამბობს „ახალი გზა“. არ ვიცი რომელი სკოლები ჰყავთ სახეში, თუ ჩვენებური—იქ ბევრს სხვასაც არ ასწავლიან, სხვაგან კი, თუ გინდ რუსეთში გალობა ბევრს სკოლებში თითქმის პირველ საგნად ითვლება, ამას გარდა როგორც ზემოთ ვამბობდით კანტონ შაფფ-ჰაუზენის სახალხო სკოლებში აუარებელს საგალობლებს ზეპირობენ და სწავლობენ. საზოგადოთ გაზეთი „ახალი გზის“ შეხედულობა საღმთო სჯულის სწავლების შესახებ, მართალია, მოდური შეხედულობაა, მაგრამ მოკლებულია საგნის ყოველ-მხრივ აწონდაწონვას და მიუდგომელად განხილვას. ეს შეხედულობა მეტად საბუთიანიც რომ იყოს, მისი განხორციელება ჩვენში აწინდელს ცხოვრებაში შეუძლებელიც არის და არა სასურველიც.“

მისაგაკავი მაგალითი.

ყველამ იცის, რომ არეულობის დროს ბევრი დაიხოცა; ჰკლავდენ ხალხს და ამას არავინ კითხულობდა, რა დანაშაული მიუძღოდა მოკლულს ან რა შეძლების იყო და რა საშუალებით უნდა ეცხოვრა მის უნუგეშოდ დარჩენილ ოჯახს. არეულობის მსხვერპლი ყველგან ბევრი იყო, მაგრამ პეტრაკოვის გუბერნიაში (პოლშაშია) არეულობის დროს მოკლულთა რიცხვი 16 ათასი ყოფილა და მათი დარჩენილი ოჯახეობის სულთა რაოდენობა 40 ათასი. ამ გვარათ დარჩენილა უპატრონოთ პატარა ბავშვები, ყველასგან მოკლებულ ნიმზრუნველობას, მფარველობას. ამ გუბერნიაში ყოფილა ერთი მემამულე ვალერიან ვალერიანის-ძე კაზარინოვი, რომელსაც მიუქცევია ყურადღება ამ უპატრონოთ დარჩენილი ბავშვებისთვის და დაუარსებია მათთვის თავშესაფარი. თავშესაფარი მოუთავსებია თავის საკუთარ მამულში, რომელიც შეიცავს თურმე შენობებს, სადაც 29 ოთახია, და ეზოგარემოს. ეს მამული თურმე კაზარინოვს ორი ათას მანეთს აძლევდა იჯარით გაცემული. თავშესაფარში დღეს თურმე 45 ბავშვია; მათ ასაზრდოვებენ, უვლიან, ასწავლიან წერა-კითხვას და სხვა და სხვა ხელობას; კვირაში ერთჯერ მინავალა ექიმი და მღვდელი შესაფერი მოვალეობის ასასრულებლათ. თავშესაფარი ყოფილა გახსნილი წმიდა მოწამის ვერას სახელზე. კაზარინოვი მდიდარი კაცი არ ყოფილა და დღეს ხარჯების გასასწორებლათ თურმე საჭიროა სხვისი დახმარება, რასაც უმორჩილესათ სთხოვენ მოწოდებით ყოველ თანამგრძნობ ადამიანს. განზრახვა ჰქონიათ, თუ საშუალება იშოვეს, თავშესაფარი გააფართოვონ, რადგან სხვა და სხვა გუბერნიიდან მისულა თხოვნები და გუბერნატორების შუამდგომლობაც, რომ ეს და ეს უპატრონოთ დარჩენილი ბავშვები მიიღეთო, მაგრამ ასეთი თხოვნების დასაკმაყოფილებლათ კი არა იმ 45 ბავშვის ხარჯიც ამ ორ წელიწადში 8 ათას მანეთამდე ასულა. განზრახული ყოფილა, თუ საშუალება შეგროვდა შემოწირულებით, იქვე დაეარსონ სახელოსნო სასწავლებელი, მანამდის კი სხვაგან გადაიყვანებენ ამგვარ სასწავლებლებში იმ ბავშვებს, რომელიც შეიქნება უკვე 16 წლისა. მარტო კაზარინოვს აღარ შეუძლია ქონებით გაუძღვეს და აწარმოოს ეს ფრიად სიმპატიური დაწესებულება და ამიტომ დღეს საზოგადოებაზე არის დამოკიდებული ამ საქმის მომავალი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბევრი აღმოჩდება თანამგრძნობი და თავის წვლილს მიაწვდენს დანიშნულებისამებრ. მოწოდებაში ნაჩვენებია შემდეგი ადრესი: С. Петербургъ, Попечителю и основателю Пріюта Св. Вѣры Валеріану Валеріановичу Казаринову, Моховая, 30.

კაზარინოვის მაგალითს ვაქცევთ მკითხველის ყურადღებას, რადგან ეს მაგალითი ბევრნაირათ არის საყურადღებო. გარდა იმისა, რომ ქველმოქმედება პირველი ქრისტიანული საქმეა და მოვალეობა ყოველი ადამიანისა, კაზარინოვს ისეთი საქმე დაუარსებია, რომ მისი შემწეობით ისეთი ახალგაზრდობა იშოვის საზ-დოს და დაადგება წესიერ გზას, რომელიც უსაქმობისა გამო ხშირად ცხოვრებაში თვისდა დამოუკიდებლათ ხდება უაჩალათ და სხვის მაწუხებელ კაცათ. სამწუხაროთ ჩვენში იშვიათია ქველმოქმედება, არა მისთვის რომ აქ სიღარიბე იყოს; ყველა რომ შეძლებისადაგვარ ქველმოქმედებდეს ქვაყანაზე გაჭირვებული აღარ იქნება. მოწყალება შეძლებაზე არ არის დამოკიდებული; ეს სახარებაშიც ცხადათ არის ახსნილი და ისტორიიდანაც მტკიცდება; დღევანდელი მაგალითებიც ამასვე გვაჩვენებს.

ტ. ჯ.

კარგი შთაგეჭდილება.

საჭიროება მქონდა, უნდა მენახა ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, რომელიც ამ დროებით ზუგდიდის მაზრაში დაბრძანდება ეკკლესიებისა და სამწყსოს დასათვარიელებლად. გავიგე, რომ 26 აგვისტოს მათს მეუფეფებას სოფ. ობუჯში მოუხდებოდა მობრძანება და გავემგზავრე სენაკიდან მარტოდ-მარტო იმ მთა გორიანი ადგილებით, რომელთაც მაზრის თითქმის ორი მესამედი ადგილი უჭირავს. შორს მგზავრობა, ისიც უამხანაგოდ ხომ მოსაწყენი და დამღალველია, მაგრამ ნუ იფიქრებთ, ან ერთი იგრძნოთ, ან მეორე მას შემდეგ, რაც ეკის (სოფელია) პირველ აღმართზე აბრძანდებით, საიდანაც, როგორც ხელის გულზე, დაინახავთ მთელს ზუგდიდის მაზრას... თქვენ წინ იშლება უშველებელი წიგნი, პოეზიით აღსავსე თხუზულება უზენაესის მხატვრისა, თავისი ფერად-ფერადი სურათებით. აკვირდებით, ჰკითხულობთ გზადაგზა ამ სწორ-

უპოვარ ქმნილებას და ქება-დიდებას ასხამთ მის შემქნელს-ზეციურ მეუფეს... და განა შეიძლება აქ მოწყენა იგრძნოს კაცმა? მოსაწყენი იქ არის, სადაც ერთ-ფერობა ბამეფებულა, სადაც სურათები არ იცვლებიან და წინ გიძევთ იგივეობა, რაც უკან დაგრჩენიათ და არა იქ, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე სწორ-უპოვარ მხატვრობას შესტრფის და შეჰხარის თქვენი სული და გული!... წინ ორმოციოდე ვერსი გასავლელი მედო, მაგრამ ეს გზა თითქმის შეუმჩნევლად, გავიარე და აგერ,—ჩუ!... მოისმა დიდლული ზარის ხმა. ეს ნიშნავდა, რომ ყოვლად-სამღვდელო მოახლოვებოდა ეკკლესიას... ეკკლესიის ფართე ეზო ერთბაშად მოეკავებია ყოვლად-სამღვდელოს მომლოდინე საზოგადოებას და თვალ-ყური მიეპყრო იქით, საიდანაც მას მოელოდა... იწკრიალა პატარა ზარამაც და საზოგადოებამ ყური სცკვიტა — „რიზმი,“— დაიძახა ვიღაცამ და ორად გაიპო უცებ საზოგადოება ჭიშკრიდან ეკკლესიის დასავლეთის კარებამდე და ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ხმა-შეწყობილი ზარების რეკვა არღვევდა... აი, ყოვლად-სამღვდელოც მობრძანდა ბლაღოჩინებით და სამღვდელოებით გარშემოხვეული... მცირე „შეგვიწყალენის“ შემდეგ, რომელიც გარდაიხადა ახალ-გაზდა მღვდელმა, მეუფება გამობრძანდა ამბიონზე და გაისმა სასოების აღმძვრელი ქადაგება ჩვენი დიდებული ოქროპირისა. — მომყავს **დაახლოვებით** თვით სიტყვაც.

„ჭეშმარიტად ბედნიერად ჩავსთვლიდი ჩემს თავს,—ბრძანა ყოვლად-სამღვდელომ,— რომ ვიცოდე, რომ დარწმუნებული ვიყო იმაში, რომ ყოველ კვირა დღესასწაულ დღეებში ასე დიდ-ძალი საზოგადოება იყრის თავს ამ ღვთის სალოცავ სახლში და სიხარულით ვიტყოდი: — ბედნიერი ვარ მე, რომ ამ ჩემს, ქრისტეს მიერ ბოძებულ სამწყსოში თვალსაჩინოდ ანათებს ლამპარი სარწმუნოებისა, მიუხედავად იმისა, რომ მტრებმა სარწმუნოებისამ ნ სულ სხვა აზრი, აზრი ღვთის უარყოფისა ჩასთესეს მორწმუნე ხალხის გულში!.. როგორ უნდა წარმოვიდგინო ის დრო, ის ჟამი, როცა ეს მტერნი, მტერნი ხალხის კეთილ-ღღეობისა, რომელნიც სხვადასხვა სახით, სხვადასხვა აზრით და მიმართულებით გევლინებოდათ თქვენ და თითქმის გავალებდენ კიდეც უარ-გეყოთ ქრისტე, უარ-გეყოთ სჯული,სარწმუნოება? სარწმუნოება ქრისტესი, ეს ნათელი ცხოვრებისა, ლამპარი სხივ მომფინარე, არის ის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რომლის გარეშე გონება უბნელდება ადამიანს, ჰკარგავს ღვთის მზგავსებას, ეცემა ზნეობრივად, უბნელდება თვალები და ჰკარგავს ნიჭს ავისა და კარგის გარჩევისას და მეტსაც ვიტყვი—დაემზგავსება პირმეტყველი—პირუტყვს. სარწმუნოება აქვს ყოველ ხალხს. სადაც გინდ, წახვიდეთ, ვისთანაც გინდა მიხვიდეთ, გინდ შორს და ისე შორსაც-კი, სადაც არც-კი გგონიათ, არც-კი გჯერათ, რომ იქ რომელიმე სჯულს აღიარებდეს ხალხი, იქაც კი ნახავთ, რომ ხალხი სარწმუნოებრივი ფარ-ხელით არი შეიარაღებული... ვიცი, გეუბნებოდენ, გარწმუნებდენ, რომ განათლებულ ადამიანს არ ეჭირვება სარწმუნოება, მისთვის მეტი ბარგია ჭეშმარიტი სჯულის აღსარება და რატომ არ ჰკითხეთ მაშინ მათ:— ვინ არის ის განათლებული ადამიანი რომელსაც სჯული არ ჰქონდეს, სარწმუნოება დაჰკარგოდესო?.—ეს აზრი არსებითად წინაამღდეგია დალაგებული გონებისა, წრფელი წარმოდგენისა,—ვინაიდან, არ შეიძლება კაცი განათლებული იყოს და თან ურწმუნოც... მაგრამ გატყუებდენ, სარგებლობდენ თქვენის გულ-მარტივობით და გაცდენდენ, რაც, სამწუხაროდ, კიდეც გჯეროდათ თქვენა... სხვა რომ არა იყოს—რა, არ შეიძლება იმ ხალხს თავის წინაპრის შთამამავლობა ეწოდოს, რომელი ხალხიც უკუ-აგდებს, უარ-ჰყოფს თავის წინაპრის ანდერძს... და არ შეიძლება უკეთესი ასოებით დაიწეროს რომელიმე ანდერძი, როგორიცაა თქვენი მეზობელი ეკკლესია წალენჯიხისა. ეს უძვირფასესი სიძველე, ეს დაუფასებელი განძი, ეს ისტორიული ნაშთი თქვენი დიდებული წინაპრებისა ხმა-მაღლა ჰლაღადებს რამდენად მტკიცე ჰქონიათ მათ სარწმუნოება, რამდენათ ჰყვარებიათ ეკლესიის გამშვენება და რამდენად უღვაწიათ, რომ წაუშლელი ასოებით დაწერილი სარწმუნოებრივი ანდერძი დაეტოვებიათ თავიანთ შთამამავლობისათვის. გარწმუნებთ, რომ თითქმის გარდა იმისა ეკლესია არ კი იყოს მთელს მაზრაში, მარტო ის კმარა დასამტკიცებლათ თქვენი წინაპრების სულის დიდებისა, საბუთად იმისა, რომ ნეტარ-ხსენებულებს აღმატებული წარმოდგენა ჰქონიათ უზენაესის მიძართ.—ის უნდა ითვლებოდეს თქვენ სიამაყედ, ამ დიდების საფუძველში უნდა ჰკითხულობდეთ თქვენ

ანდერძს თქვენის წინაპრებისას, რომ ის სარწმუნოებრივი ძლიერება, რომლითაც ისინი ყოფილან აღჭურვილნი, თქვენც მაგრად გეპყრათ ხელში... და განა მარტო ი'? განა თქვენს ეკლესიაში არ მოიპოვება ასეთი ანდერძი? აი ეს მრავალ-წლოვანი პატიოსანი ჯვარი (ხატი) უფრო ძვირფასია, ვიდრე თვით ეს ეკლესია თავის კედლებითა. ვინ იცის, რამდენი საუკუნეების მოწმეა ის? ვინ იცის, როგორ უვლიდენ მას თქვენი წინაპრები მტრის შემოსევის დროს და კიდევ ვინ იცის, რამდენი ცრემლი, ცრემლი თქვენის წინაპრებისა დაღვრილა მის წინ საზოგადო და კერძო გაპირების დროს? ვინ იცის რამდენს ეევედრებოდენ თქვენი წინაპრები უფალს ამ ხატის წინაშე, რომ მტრის თავ-დასხმის დროს, მათ შერჩენოდათ თავიანთი კერა, თავიანთი მიწა-წყალი... მერე ვინ შეიძინა ეს განძი, ვინ შეამკო ის უღრმესი სარწმუნოიბის გამომხატველი წარწერებით? —თქვენმა წინაპრებმა და თქვენ—შთამამავლობას გიანდერძათ, რომ თქვენც არ უღალატოთ მას და იწამოთ სჯული ქრისტესი, როგორც მათ თვითონ სწამებიათ ის... ისტორიულად დამტკიცებულია. ნამდვილი საბუთებით დადასტურებულია, რომ ის ხალხი, რომელსაც უღალატნია წინაპრების ანდერძისათვის—დაუვიწყნია ქეშმარიტი ღმერთი და წუთიერი კმაყოფილებისათვის, წარმავალი არარაობისათვის დაუმორჩილებია თავისი გონება, დაცემულა გონებით, ზნეობით და თვით ქონებრივათაც კი და ბოლოს მოვლენია მრავალგვარი ტანჯვანი, სასჯელნი და ზოგი თუ მთლად არ აღმოფხვრილა, ისევ ღვთის ცნობით წამომდგარა რავდენიმე საუკუნეების განმავლობაში... ყველა ეს გავალებს თქვენ, ჰკითხოთ თქვენს თავს, რამდენ დ ძვირფასი, რამდენად გამომაფხიზლებელია გონებრივად, რამდენად აღმამაღლებელია ზნეობრივად და რამდენად განმამტკიცებელია სულიერად ის სარწმუნოება, რომელიც იდევნებოდა და, სამწუხაროდ, ახლაც განიცდის ამ მოვლენას დაუფიქრებელ ხალხში და იმდენად მაგრად, იმდენად მტკიცედ ჩაეჭიდოთ მას ხელი, რამდენადაც ის აუცილებელი საჭირო არის ორთავ ცხოვრებისათვის.

დაბოლოს არ შემიძლია არ მივაქცეო თქვენი ყურადღება იმ ნაკლს თქვენი ეკლესიისას, რაც შემოსვლისთანავე თვალში ეცემა კაცს. კანკელი—მბატვრობა, რომლისთვისაც თქვენ სრულიადაც არ გილვაწიათ, შეადგენს ერთ მთაკარ-ნაკლულევანებათაგანს თქვენის ეკლესიისას, რაისათვისაც იმედნეული ვრჩები, რომ მოინდომებთ როგორც მამა-კაცები, აგრეთვე მანდილოსნებიც და შესაფერად შეამკობთ ამ ღვთის სალოცავ სახლს ხატებით.—შევსთხოვ უზენაესს, რომ გარდმოგვევლინოს თქვენ მადლი და კურთხევა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.—ამინ.“

საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა ყოვლად-სამღვდელოს მკვეთრი და უმაღლეს ხარისხამდე ასული ბუნებრივი მჭევრ-მეტყველობით წარმოთქმული სიტყვით და რამდენადაც შეიძლებოდა, გარეგანი შეხედულობით, ცნობა საზოგადოების სულიერი მდგომარეობისა, ზოგს აღტაცება ეტყობოდა სახეზე და ზოგს ჩაფიქრება.—დაბოლოს ხელზე იმთხვია ყოვლად-სამღვდელომ საზოგადოება და ლოცვა-კურთხევით გამოემშვიდობა.

ყოვლად-სამღვდელოს ახლავს ერთი ბლაღოჩინი, საეკლე'იო საბუთების განმხილველი და კლეინიკი—ასე, რომ მათი მეუფების მიღება არ უმძიმდება ღარიბსაც.

მათმა მეუფებამ სადილი მიირთვა მ. ბლაღოჩინ ევგენ შენგელიას სახლში და საღამოს ყულის-კარის ეკლესიის დასათვალიერებლად წაბრძანდა.

კ. წუთისოფელი.

28 აგვისტო 1910 წ.

ვაი ჩვენ სირცხვილს!

„Земля наша велика и обильна, по порядка нѣтъ въ ней; приходите княжить надъ нами.

ქუთაისში 50 ათასი მცხოვრები ირიცხება და ამოდენა ალაიაში ქალაქის თავად გამოსადეგი კაცი ვერ გვიშოვნია. სირცხვილი და სიკვდილი ამას იქით წავა? ფოთში დეპუტაცია გაგზავნეს, იქნებ ბედმა გაგვიღიმოს და ნიკოლაძე დაგვთანხმდეს ქალაქის თაობაზეო, მაგრამ, ვაი სირცხვილო! მანაც უარი სთქვა და ამ ნაირათ ცეცხლზე წყალი დაგვესხა. ნუთუ მართლა არ არის ჩვენში ისეთი კაცი, რომ ქალაქის თავად გამოდგეს? სწორეთ რომ არა. ბევრი გვყავს ნასწავლი, გამო-

ცდილი, მაგრამ რაღაც უბედურეაა ეს ნასწავლობა და გამოცდილება თავისთვის აქვთ შენახული, თავის პირადი ანგარიშისთვის და არა საზოგადო საქმისთვის. ჩვენში თუ ვისმეს აინტერესებს საზოგადო საქმე, აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ეს პირადათ მისთვისაა. სასარგებლო ჩვენში არავის არ უნდა საზოგადო საქმესთვის თავი აიტკივოს, თუ ცოტა კი საშვალება აქვს კუჭი დაიკმაყოფილოს. „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზედაც აღარ დარჩენილაო“, „ჩემი ურგები ლუკმა ძაღლს და ქრთანი ქეასო“. აი ჩვენი მოწინავე (ნასწავლობით) თაობის პრინციპი და მისწრაფება! რომ ეს სენი არ გვჭირდეს, ყოველ საზოგადო დაწესებულებაში ბლომათ გვეყოლება კანდიდატები. აიღეთ მაგ. ვინც გინდათ: ჩვენი „პრისიაჟნები“, დოქტორები და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულები. რით არ შეუძლიათ მათ ქალაქს მეთაურობა გაუწიონ, რომ მონდომა ჰქონდესთ, რომ საზოგადო საქმისთვის რამე შესჭირდეთ, რომ სამშობლო ქალაქისთვის გული შესტკიოდეთ, ან ცოტა თავმოყვარეობა ჰქონდესთ მაინც და სცხვენოდეთ, რომ ძველი რუსებივით დეპუტატებს გზავნიან და მუხლმოდრეკით ეევდრებიან ვარიაგების კნიაზებს: „Земля наша велика и обильна, но порядки нѣтъ въ ней приходите княжить подъ нами“!? ნიკოლაძე თუ კაი კაცია და კაი გამგე, დაუმადლოთ ის, რაც გააკეთა და დაუფასოთ ის სადაც, მსახურებს; ფოთიც ჩვენია, ჩვენი ლვიძლი ძმა, რომლის დამცირება და წახდენა ისე უნდა გვაწუხებდეს, როგორც ჩვენი საკუთარი უბედურება. ფოთს კიდევ დიდხანს დასჭირდება კარგი ქალაქის თავი და თუ ნიკოლაძე კარგია, რა უფლებით ვართმევთ მას ფოთს. ან კიდევ ვსთქვათ, აღარ, გახლავთ ნიკოლაძე! ნუ თუ აღარ გვეცხოვრება უმისოთ! რა ერია ის ერი, რომელსა მთელი იმედი ერთ კაცზე აქვს დამყარებული.?! რა ნასწავლი თაობაა ის თაობა, რომელიც თაობას ჩემობს და თავი შორის კაცს ვერ ჰპოებს, რომ ქალაქის თავად გამოდგეს, შეურაცხება ამაზე მეტი შეუძლებელია, თავის თავის დამცირება და შერცხვენა ამაზე შორს აღარ წავა!

ამის შემდეგ აღარც ჩვენ დაგვრჩება დიდი ხათრი ჩვენ სამღვდელოებაზე; აწი არც მაზე ითქმის აუგი მით უფრო, რომ იგი სწავლა-განათლებით ოდნავაც ვერ შეედრება ჩვენ ქუთაათურ მოწინავე (?! თაობას....

მცირე შენიშვნა, საღვთო სჯულის სწავლის შესახებ პირველდაწყებით სკოლებში.

ჩვენი საერო ჟურნალ გაზეთებს ჩვეულებათ არ აქვთ საღვთო საგნებზე ილაპარაკონ და თუ ხმა ამოიღეს, უთუოთ მათ საგინებელ-სალანძღავათ, მათ დასამცირებლად ამოიღებენ; ამიტომ ყოველი თბილი სიტყვა მათი საღვთისმეტყველო საგნების შესახებ, უცხოთ მიგვაჩნია, მაგრამ მასთან გრძნობ, რომ მათ მათი მოვალეობა შეასრულეს. ადამიანს, რომ სულიერი მოთხოვნილება აქვს და ეს მოთხოვნილება ხანდიხან უფრო ძლიერია ხორციელზე, ამას ყოველი უსუსური გრძნობს და რა გასაკვირვალია, რომ საერო პრესამ ადამიანის ამ მხარეს ყურადღება მიაქციოს. ჩვენში მაინც, სადაც სასულიერო ჟურნალ-გაზეთები ასე იშვიათია, საერო ჟურნალ-გაზეთებს სასულიერო კითხვების შესამუშავებელი მთელი განყოფილება უნდა ჰქონდესთ, მაგრამ ეს ზნე აქნამდის არ სჭირვებია ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს. მით უფრო გაგვიკვირდა და გაგვეხარდა, როცა ჟურნალ „განათლების“ ფურცლებზე შევხვდით ისეთ შენიშვნას, სადაც ავტორი იცავს საღმრთო სჯულის სწავლებას პირველ დასაწყის სკოლებში.[1])

მაგრამ ჩვენ სიხარულს ცოტა ფრთები შეეკვეცა, როცა წავიკითხეთ შემდეგი სიტყვები: „მართალია მეცნიერების შესწავლაც ხელს უწყობს ზნეობრივს აღზრდას....., მაგრამ საღმრთო სჯულიც ერთს საჭირო საგანს წარმოადგენს ხალხის ზნეობის განსპეტაკების მხრით, თუ მისი სწავლებით არ ჩააგონებენ ხალხს ბატონყმურს მოთმინებას და ამა ქვეყნის ძლიერთა ბატონობას უფრო სუსტებზე....; არამედ გადასცემენ წმინდა ზნეობრივ მოძღვრებას, რომელსაც დღემდის შეუნახავს ქართველი ერი, ისტორიულს ქარცეცხლში გატარებული.“

აქედან გამოდის, რომ საღმრთო სჯული

[1]) იხ. ზემოთ ფეხ. 9 და 10.

მცირე შენიშვნა, საღვთო სჯულის სწავლის შესახებ პირველდაწყებით სკოლებში.

ჩვენი საერო ჟურნალ გაზეთებს ჩვეულებათ არ აქვთ საღვთო საგნებზე ილაპარაკონ და თუ ხმა ამოიღეს, უთუოთ მათ საგინებელ-სალანძღავათ, მათ დასამცირებლად ამოიღებენ; ამიტომ ყოველი თბილი სიტყვა მათი საღვთისმეტყველო საგნების შესახებ, უცხოთ მიგვაჩნია, მაგრამ მასთან გრძნობ, რომ მათ მათი მოვალეობა შეასრულეს. ადამიანს, რომ სულიერი მოთხოვნილება აქვს და ეს მოთხოვნილება ხანდიხან უფრო ძლიერია ხორციელზე, ამას ყოველი უსუსური გრძნობს და რა გასაკვირვალია, რომ საერო პრესამ ადამიანის ამ მხარეს ყურადღება მიაქციოს. ჩვენში მაინც, სადაც სასულიერო ჟურნალ-გაზეთები ასე იშვიათია, საერო ჟურნალ-გაზეთებს სასულიერო კითხვების შესამუშავებელი მთელი განყოფილება უნდა ჰქონდესთ, მაგრამ ეს ზნე აქნამდის არ სჭირვებია ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს. მით უფრო გაგვიკვირდა და გაგვეხარდა, როცა ჟურნალ „განათლების“ ფურცლებზე შევხვდით ისეთ შენიშვნას, სადაც ავტორი იცავს საღმრთო სჯულის სწავლებას პირველ დასაწყის სკოლებში.[1])

მაგრამ ჩვენ სიხარულს ცოტა ფრთები შეეკვეცა, როცა წავიკითხეთ შემდეგი სიტყვები: „მართალია მეცნიერების შესწავლაც ხელს უწყობს ზნეობრივს აღზრდას....., მაგრამ საღმრთო სჯულიც ერთს საჭირო საგანს წარმოადგენს ხალხის ზნეობის განსპეტაკების მხრით, თუ მისი სწავლებით არ ჩააგონებენ ხალხს ბატონყმურს მოთმინებას და ამა ქვეყნის ძლიერთა ბატონობას უფრო სუსტებზე....; არამედ გადასცემენ წმინდა ზნეობრივ მოძღვრებას, რომელსაც დღემდის შეუნახავს ქართველი ერი, ისტორიულს ქარცეცხლში გატარებული.“

აქედან გამოდის, რომ საღმრთო სჯული

მეცნიერეაასთან ერთად ზნეობის მასწავლებელი უნდა იყოს ხალხისათვის, სამღვთო სჯული უნდა ისწავლებოდეს სკოლაში, როგორც ზნნობის გამასპეტაკებელი საგანი და სხვა არაფერი.

ვერ ვეთანხმებით ბ. კახაბერის ასეთ შეხედულებას სამღვთო სჯულზე და მის სწავლებაზე. სამღვთო სჯულის მიზანი მარტო ზნეობა არ არის და მისი შედარება მეცნიერებასთან, როგორც ზნეობის მასწავლებელ საგანთან, სათაკილოც არის საწყენიც და ნიადაგს მოკლებულიც. სამღვთო სჯულის სწავლების მიზანი უნდა იყოს და არის კიდეც ღმერთი და სასუფეველი ღვთისა, მომავალი ცხოვრება. სამღვთო სჯულმა უნდა გააცნოს მოსწავლეს ყოველივე ის, რაც თვით ღმერთმა განუცხადა ადამიანს თავის თავზე და მომავალ ცხოვრებაზე, უნდა შეაგნებიოს მას მიზანი მისი არსებობისა, როგორც ღვთის სასუფეველის მემკვიდრისა. ეს შეგნება უნდა დაედოს საფუძვლად ზნეობრივ სწავლას, უამისოთ იმ ზნეობას, რომელსაც ქადაგებს სახარება ანუ სამღვთო სჯული, არ ექნება არავითარი ნიადაგი ადამიანის გულში, უამისოთ სამღვთო სჯული ერთ ზნეობრივ მცნებასაც ვერ მისცემს კაცს. მაგ. რა აზრი, რა მაიძულებელი ძალა აქვს მცნებას „გიყვარდეს მოყვასი", „გიყვარდეს მტერი" „კეთილს უყოფდეთ მაჭირვებელთა თქვენთა", „მიაგეთ ბოროტისა წილ კეთილი", „მარჯვენეს თუ გცემენ, მიაპყარ მარცხენეცო" და სხვა ამგვარებს იმ დოღმატის გარეშე, რომელიც გვითითებს სასუფეველისაკენ. სუყველა ეს და ამის მსგავსი მცნებები მოთმინებას მოითხოვენ და განა შეიძლება მოითმინოს კაცმა, თუ ამ მოთმინების მიზანი, სასუფეველი, გათვალისწინებული არა აქვს? დოღმატიური მხარე სჯულისა ისეა დაკავშირებული ზნეობასთან, რომ თუ პირველი არ იქნა, მეორეც არ იქნება. მაშასადამე თუ სამღვთო-სჯულს, როგორც სასწავლო საგანს, გამოეცალა თავის დოღმატიური, არსებითი, მხარე, მაშინ იგი ზნეობის მასწავლებლათ აღარ გამოდგება.

უნდა ხაზგასმით აღვიაროთ, რომ სამღვთო-სჯულს პოლიტიკასთან საქმე არა აქვს, არც სულ ქვეყნიურ ცხოვრებასთან, ქვეყნიურ ცგოვრებას იგი უყურებს, როგორც გზას, რომელიც უნდა გაიაროს მოგზაურმა, რომ თავის მიზანს მიაღწიოს, ან უკეთ ვსთქვათ სკოლას, რომელმაც უნდა აღზარდოს ღვთის სასუფეველის მოქალაქენი. ამიტომ იგი არაფერ პოლიტიკურ მიზნისთვის არ გმოდგება. და თუ მას გზის ჩვენება დაუწყეს: ეს ასწავლე ამას, ნუ ასწავლი, ეს უთხარი ამას ნუ ეტყვი, ბატონობას მიაჩვიე, მორჩილებას ნუ გაუმხელო, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ისევ პოლიტიკის ყურმოჭრილი ყმაა; მან ის უნდა სთქვას და ის უნდა ასწავლოს, რაც შეფერის ადამიანის სულიერ ცხოვრებას.

ვერ ვეთანხმებით ბ. კახაბერს აგრეთვე იმაშიაც ვითომ მეცნიერებაც ზნეობრივად აღმზრდელი იყოს და სრულებით უარს ვყოფთ რაიმე მსგავსებას მეცნიერებისას სამღვთო სჯულთან ამ შემთხვევაში. მეცნიერება არაფერს არ ასწავლის ადამიანს ზნეობრივად და არც აქვს სახეში მისი ასეთი აღზრდა. იგი უჩვენებს ულმობელ ბუნების კანონებს, რომლების მოხმარა ასედაც შეიძლება და ისედაც, ავადაც და კარგადაც, სასარგებლოთაც და სავნებელათაც. რომ მეცნიერების ნაპოვნი დასკვნები კაცმა სასარგებლოთ გამოიყენოს, იგი წინდაწინვე უნდა იყოს ზნეობრივად მომზადებული. როცა მეცნიერებამ ყუმბარა მოიგონა, სრულებითაც ამით არავითარი ზნეობა არ უსწავლებია კაცისათვის, მან მისცა მას მხოლოდ ყოვლის შემმუსრავი ძალა და ერთი სიტყვაც არ უთხრობია იმის შესახებ თუ რისათვის მოიხმაროს იგი, გზის გასაყვანათ, თუ ადამიანთა გასაჟლეტათ; როცა მეცნიერებამ მატარებელი მოიგონა, მას სახეში არ ჰქონია, დაერიგებია ადამიანი, რისათვის უნდა გამოეყენებია იგი, ხალხის გადასაყვან-გადმოსაყვანათ, საპირო და სასარგებლო ნაწარმოების გადასატან-გადმოსატანათ, თუ შეიარაღებული ჯარისა და თოფ-ზარბაზნების საზიდავათ მშვიდობიან მცხოვრებთა ბინების ასაოხრებლად და ცოლშვილის ასაწიოკებლმდ. მეცნიერება ყრუა ზნეობისათვის, მეცნიერებამ ზნეობა არ იცის და ვერც ასწავლის, თვით იგი არც ზნიანია და არც უზნეო; ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოიხმარს ადამიანი მეცნიერებას და რომ უზნეოთ არ მოიხმაროს, ამიტომ საპიროა ადამიანი წინდაწინვე აღიჭურვოს მაღალი ზნეობით, რასაც მხოლოდ სარწმუნოება იძლევა.

ხელი.

რედაქტორი. მღვდელი **სიმონ მჭედლიძე**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა.**

Электропечатная Типографія. Иванъ Давидовичъ Киладзе въ Кутаисѣ.